თბილისის მერია
ქ. შარტავას ქ.№7
TBILISI.GOV.GE

სარეგისტრაციო ნომერი: 07/142914-2

თარიღი: 26.10.11


№64

ქალაქ თბილისის მერს

ბ-ნ გ.უგულავას

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 31 მარტს მიღებულ იქნა დადგენილება №41, რომლითაც საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე "დიღმის ტყე-პარკი" გამოიყო როგორც გამწვანების სპეციალური ზონა და დავალებები მიეცათ შესაბამის საქალაქო სამსახურებს მისი კეთილმოწყობისათვის, ხოლო უკვე 2007 წლის 18 თებერვლის №16 დადგენილებით კი "დიღმის ტყე-პარკის" 20.5 ჰა ფართობზე მწვანე საფარის შესანარჩუნებლად და აღსადგენად ლანდშაფტის გეგმის შემუშავება და ამ მიზნით "დენდრო პროექტის" მომზადება დაევალა ქალაქ თბილისის მთავრობას.

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილებების შესრულების მიზნით ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ (შესრულებული სამუშაოს სახე, დრო, დახარჯული თანხა, პერიოდულობა, განმხორციელებელი პირი).

აიპ "უსაფრთხო სივრცე"

თავმჯდომარე /ა.გაბრიაძე/